სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდახუთ თებერვალს, მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.პეტრიწის ქ. #16, მომმართა აკაკი ჩივაძემ. მან განაცხადა, რომ არის შპს **სანთომი დიდი დიღომი**“-ის (რეგისტრირებული:16/12/2021 წელს, ს/ნ 405498634) დირექტორი და სურს სანოტარო აქტის – **მინდობილობის** შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე წამდვილად აკაკი ჩივაძემ (დაბ.21.10.1990 წელს, პირადი # 31001048069; მისამართი: მცხეთა ს. ძეგვი მე–20 ქ. N 8), როგორც სანთომი დიდი დიღომი“-ის დირექტორმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, აკაკი ჩივაძე, როგორც შპს სანთომი დიდი დიღომი“-ის (რეგისტრირებული:16/12/2021 წელს, ს/ნ 405498634) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც “მიმნდობი პირი”, წინამდებარე მინდობილობით ირაკლი მაზიაშვილს (დაბ.01.05.1986 წელს, პირადი # 01024037393) შემდგომში წოდებული როგორც “მინდობილ პირს”, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის, როგორც შპს სანთომი დიდი დიღომი“-ის (რეგისტრირებული:16/12/2021 წელს, ს/ნ 405498634) დირექტორის წარმომადგენელი შპს სანთომი დიდი დიღომი“-ის კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, მდებარე მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , N 31 კორპუსის მიმდებარედ. ს/კ #01.10.08.005.187; ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში/ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში. იგი უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ ცნობები/ მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება შპს სანთომი დიდი დიღომი“-ის (რეგისტრირებული:16/12/2021 წელს, ს/ნ 405498634) კუთვნილ უძრავ ნივთზე, მათ შორის მოახდინოს: უძრავი ქონების კორექტირება, უძრავი ქონების ფართობის დაზუსტება, საზღვრების კორექტირება, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამოჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), რეგისტრაციის შეწყვეტა, რეგისტრაცია.

ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება (მათ შორის ელექტრონულად), მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუბლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია **ორი წლის** ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის:
შპს სანთომი დიდი დიღომი“-ის (რეგისტრირებული:16/12/2021 წელს, ს/ნ 405498634) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე - 10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

აკაკი ჩივაძე

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

67267242054222

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220196297

რეგისტრაციის თარიღი

25.02.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16

ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18